(2001)

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის **<u>გადაწყვეტილება</u> აფხაზეთის, საქართველო, თაობაზე, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალური კომიტეტის დაარსების შესახებ**

ითვალისწინებს რა საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციას აფხაზეთში, საქართველო, სიტუაციის თაობაზე;

ხაზს უსვამს რა გაეროს უშიშროების საბჭოს მრავალრიცხოვანი რეზოლუციებისა და ეუთოს ფარგლებში უმაღლესი დონის შეხვედრების შედეგების მიხედვით მიღებული დოკუმენტების იმპლემენტაციის მნიშვნელობას;

მიესალმება მნიშვნელოვან წვლილს, რომლის შეტანას აგრძელებს გაერო კონფლიქტების მოგვარების გზების ძიებაში;

ადასტურებს რა, რომ კონფლიქტი გადაჭრილი უნდა იქნეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების, აგრეთვე ბუდაპეშტში და ლისაბონში ეუთოს ფარგლებში უმაღლესი დონის შეხვედრების, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის და დსთ შესაბამისი ორგანოების გადაწყვეტილებათა და რეზოლუციების დებულებების შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთისათვის ფართო ავტონომიის გარანტიისა და დემოგრაფიული სიტუაციის ხელოვნური შეცვლის, აფხაზეთში, საქართველო, ჩატარებული "უპირატესად ქართული მოსახლეობის მასობრივი განადგურებისა და ძალადობრივი განდევნის"-აგან დაცვის საშუალებების მიცემის გათვალისწინებით, როგორც ამის შესახებ განცხადებული იყო ეუთოს ფარგლებში ბუდაპეშტში, ლისაბონში და სტამბოლში უმაღლესი დონის შეხვედრებზე.

გამოხატავს რა ღრმა შეშფოთებას კონფლიქტის ზონაში დაძაბული სიტუაციის მნიშვნელოვანი გაუარესების შესაძლებლობით, აგრეთვე კონფლიქტის განახლების რისკით იმ შემთხვევაში, თუ მრავალრიცხოვანი ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები არ მიიღებენ თავიანთი სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების შესაძლებლობას;

ითვალისწინებს რა ქართული დელეგაციის მიმართვას ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაში ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის მუდმივი კომიტეტისადმი,

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის მუდმივი კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას აფხაზეთის თაობაზე, საქართველო, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალური კომიტეტის დაარსების შესახებ და ანიჭებს მას შემდეგ უფლებამოსილებებს:

ხელი შეუწყოს კონფლიქტის მშვიდობიანი და სამართლიანი მოწესრიგებისათვის პოლიტიკური შესაძლებლობების გაფართოებას, აგრეთვე საქართველოში სტაბილურობასა და სახელმწიფოებრივ ერთიანობას ეუთოს პრინციპებისა და ვალდებულებების საფუძველზე.

მხარი დაუჭიროს რეგიონში ეუთოს აქტიურ ყოფნას, ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების მიმართ პატივისცემის ამაღლებას, დახმარება აღმოუჩინოს სამართლებრივი და დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პროცესების განვითარებაში, გაუწიოს დახმარება კონფლიქტის მხარეებს სამართლებრივი, პოლიტიკური და კონსტიტუციური ფარგლების შემუშავებისას ამ @გაყინული კონფლიქტის@ სასწრაფო გადაწყვეტისათვის, აგრეთვე რეკომენდაციები შესთავაზოს კონფლიქტის გადაჭრის პროცესში მონაწილე მხარეებს ამგვარი კონფლიქტების მომავალში თავიდან ასაცილებლად.

დადგინდეს მიზეზები, რომელთა გამოც მრავალრიცხოვანი რეზოლუციები, მიღებული რიგი ძირითადი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, ეუთოს და მისი საპარლამენტო ასამბლეის ჩათვლით, არ სრულდება და დაისახოს პრიორიტეტები ამ სავალალო ტენდენციის გამოსასწორებლად.

ავალდებულებს სპეციალურ კომიტეტს რეგულარულად მოახსენოს თავისი საქმიანობის და რეგიონში სიტუაციის შესახებ და გაგზავნოს შესაბამისი რეკომენდაციები ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაში.

თავისი მანდატის ეფექტური აღსრულებისათვის, აგრეთვე სხვა სტრუქტურების საქმიანობის დუბლირების თავიდან აცილებისათვის, კომიტეტი, რეგიონში ჩასვლისას, იმუშავებს საერთაშორისო ინსტიტუტებთან, კერძოდ საქართველოში ეუთოსა და გაეროს მისიებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

ქ. ვენა, 23 თებერვალი 2001 წელი.

(აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში. საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლება, საერთაშორისო ორგანიზაციები. 1989-1999 წ. წ. ნაწილი I I. 1995-1999 წ. წ., ავტორები და სარედაქციო კოლეგია: ვახტანგ ყოლბაია, თეიმურაზ ჭახრაკია, რაფიელ გელანტია, დავით ლაცუზ-ბაია, თბილისი, 2000, გვ. 139-140)

ეუთო. მინისტრთა საბჭოს მეცხრე შეხვედრა
მინისტრთა საბჭოს განცხადება
გადაწყვეტილება # 2

2001 წელი 3 და 4 დეკემბერი, ბუქარესტი

(3)

1. ჩვენ ვაცხადებთ მტკიცე ერთგულების შესახებ საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიულ მთლიანობის მხარდაჭერისადმი და კვლავ ვადასტურებთ ეუთო-ს უმაღლესი დონის და მინისტრთა საბჭოს შეხვედრებზე საქართველოსთან დაკავშირებით ადრე მიღებულ დოკუმენტებს.

2. ჩვენ მივესალმებით სამშვიდობო პროცესის განვითარებას ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში. ჩვენ მადლობას გამოვხატავთ ეუთოსა და საქართველოში ეუთოს მისიის მოქმედი თავმჯდომარისადმი, ევროპის კომისიისა და განსაკუთრებით რუსეთის ფედერაციაადმის ძალისხმევისათვის, რომლის საშუალებითაც წინ გადაიდგა საგრძნობი ნაბიჯების, მათ შორის პრაქტიკული ნაბიჯები ამ რეგიონში მსუბუქი და ცეცხლსასროლი იარაღის შემცირების საქმეში, და მოლაპარაკება შერეული საკონტროლო კომისიის მიმავალი სხდომებისა და ექსპერთა შეხვედრების გრაფიკისა. ჩვენ მივესალმებით ევროპის კავშირის ფინანსურ დახმარებას. ჩვენ მივესალმებით ეკონომიკური აღდგენის შესახებ რუსეთ-საქართველოს შეთანხმების ხელმოწერას. ჩვენ ველით 2002 წელს შემდგომ პროგრესს მიღწეულ ბაზაზე დაყრდნობით მხარეებს შორის უკეთეს ურთიერთგაგებას, განსაკუთრებით საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის გამო.

2. ჩვენ ისევ ვადასტურებთ გაერო-ს წამყვან როლს აფხაზეთში, საქართველო და ჟენევის პროცესის მნიშვნელობას, რომელიც უზრუნველყოფს მოლაპარაკებათა ძირითად ჩარჩოს. ჩვენ ვგმობთ 11 ოქტომბერს გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა მისიის ვერტმფრენის ჩამოგდებას და დაბეჯითებით მოვუწოდებთ ცეცხლის შეწყვეტასთან დაკავშირებით ყველა შეთანხმების, მათ შორის, 1994 წლის 14 მაისის მოსკოვის შეთანხმების, კეთილსინდიდიერ შესრულებას. ჩვენ მოვუწოდებთ განახლდეს კონსტრუქციული დიალოგი, მიმართული სრულმასშტაბიან მოწესრიგების მისარწევად, მათ შორის აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა როგორც სუვერენული წარმონაქმნისა, საქართველოს შემადგენლობაში. ჩვენ კვლავ შეფიქრიანებულნი ვართ ადამიანის უფლებების მდგომარეობით აფხაზეთში, საქართველო. დარწმუნებული ვართ, რომ უნდა შეიქმნას პირობები ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნებისათვის თავიანთ ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებში, რომლებიც იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ მასიური განადგურებისა და ძალადობრივი განდევნის შედეგად.

3. ჩვენ აღვნიშნავთ ეუთოს საზღვრის მონიტორინგის ოპერაციის არსებით წვლილს სასაზღვრო მომიტორინგის საქმეში, რომელიც განხორციელდა რეგიონში სტაბილურობისა ნდობის უზრუნველსაყოფად საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შემავალი ჩეჩნეთის რესპუბლიკის საზღვრის გაყოლებაზე. ჩვენ ვავალებთ მუდმივ საბჭოს შეისწავლონ სასაზღვრო მონიტორინგის ოპერაციის განვრცობის წინადადება საქართველოს საზღვარზე რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შემავალი ინგუშეთის რესპუბლიკასთან.

4. ჩვენ მივესალმებით წლეულს მიიღწეულ პროგრესს სტამბოლში მიღებული ვალდებულებების შესრულებაში, რომელიც ეხება რუსეთის ძალების მომავალს საქართველოში. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ნაბიჯი გახდა რუსეთის ბაზის დახურვა ვაზიანში და გუდაუთიდან რუსეთის ბაზების სამხედრო ტექნიკის გატანა. ჩვენ ველოდებით ყველა სხვა სტამბულში მიღებულ ვალდებულებების შესრულებას. ჩვენ მოვუწოდებთ განახლდეს რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებები გამჭვირვალობის შესაბამისი ღონისძიებების შემუშავების თაობაზე გუდაუთაში სამხედრო ბაზის დახურვასთან დაკავშირებით. ჩვენ ვიმედოვნებთ რუსეთის გუდაუთის ყოფილი სამხედრო ბაზის ინფრასტრუქტურის მალე იურიდიულ გადაცემას. ჩვენ ასევე მალე ველოდებით შეთანხმებას რუსეთის დარჩენილი სამხედრო ძალების ობიექტების და ფუნქციონირების შესახებ. ჩვენ მივესალმებით მონაწილე ქვეყნების შენატანებს ნებაყოფლობით შენატანების ფონდში რუსეთის სამხედრო ობიექტების გატანის მხარდასაჭერად და თანახმანი ვართ გადაუდებელი წესით განვიხილოთ მხარეების მიერ ამ ფონდის გამოყენების შესახებ.

5. ჩვენ მივესალმებით მისწრაფებას კეთილმეზობლური ურთიერთობისა და თანამშრომლობის განვითარებისაკენ, რომელიც გამოვლინდა 2001 წლის 30 ნოემბერს რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინისა და საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის შეხვედრაზე, ასევე შეთანხმებას საქართველოს ტერიტორიაზე დაბომბვების შემთხვევების გამოსაკვლევად ერთობლივი კომისიის შექმნის თაობა

(http://www.osce.org/ru/mc/40520/ საკუთარი თარგმანი)